სერიოზული განაცხადი

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 27 ივნისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) _ “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:1).

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, სირომიატნიკოვი, მოსკალენკო, პორკუიანი, მიხაილინი, პროკოპენკო, მასლოვი, ზვენიგოროდსკი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

მატჩს არ ჰქონია დაზვერვითი შესავალი, ის ურთიერთ “მოკითხვა” და სიფრთხილე, რომელიც ჩვეულებრივ წინ უძღვის ხოლმე ასეთ დიდმნიშვნელოვან მატჩებს. თბილისელებმა პირველივე წუთებიდან აზარტულად დაიწყეს თამაში. მეტრეველმა ზედიზედ რამდენიმეჯერ შეასრულა სწრაფი გარღვევა და ცენტრში ჩააწოდა ბურთი, შორი მანძილიდან კარში დარტყმის შესაძლებლობა მიეცათ ასათიანს, პეტრიაშვილს, ხურცილავას. ეს იყო ძალზე სახიფათო მომენტები და მათი ნეიტრალიზებისთვის “ჩერნომორეცმა” მოთამაშეთა უკან დახევას ამჯობინა საპასუხო კონტრიერიშები. ამის შედეგად მინდორზე გაჩაღდა დაძაბული, მწვავე ორმხრივი ბრძოლა. გოლის გატანის შესაძლებლობა ორივე მხარეს ჰქონდა.

ამ იერიშებში დინამოელთა უპირატესობა თანდათან შესამჩნევი ხდებოდა. ისინი უკეთ იყენებდნენ მინდვრის შუაგულს, უფრო სწორად _ მოიერიშე ნახევარმცველებს და გოლიც სწორედ ასე იქნა გატანილი. 21-ე წუთზე პეტრიაშვილმა ისე ზუსტად გადააწოდა ბურთი კუტივაძეს, რომ ეს უკანასკნელი კარიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა _ 1:1.

ოდელესებმა მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს: “ჩერნომორეცის” თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა პორკუიანი, რომელიც ხშირად გადიოდა სახიფათო პოზიციაში და პარტნიორებიც გაჰყავდა, მაგრამ საპასუხო გოლის გატანას “ჩერნომორეცი” ერთობ დიდხანს მოუნდა. 56-ე წუთზე პორკუიანმა თავისი მორიგი გარღვევა დაამთავრა მოსკალენკოსკენ ზუსტი გადაცემით და მანაც უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში _ 1:1.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ხურცილავას მიერ 85-ე წუთზე გატანილმა გოლმა. თბილისელთა გამოცდილმა სტოპერმა 21-22 მეტრის მანძილიდან ისეთი სიზუსტით და სიძლიერით შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რომ ოდესელთა მიერ აღმართულმა კედელმა და მეკარე იარჩუკმა, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს. თბილისელებმა გამარჯვება მოიპოვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

“ლელო”, 30 ივნისი, 1970 წ.